პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლისათვის“ სახელის გადარქმევისა და მისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 კლასიკური გიმნაზიის“ სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 მარტის №63 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის“ პედაგოგიური საბჭოს 2026 წლის 12 ოქტომბრის №3 ოქმისა და ამავე სკოლის სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 12 ოქტომბრის №11 ოქმის საფუძველზე:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლისათვის“ სახელის გადარქმევისა და მისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 კლასიკური გიმნაზიის“ სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 მარტის №63 განკარგულებაში, კერძოდ:

1. შეიცვალოს განკარგულების სათაური და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლისათვის“ სახელის გადარქმევისა და მისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 კლასიკური გიმნაზიის“ სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ.“.

2. შეიცვალოს განკარგულების პირველი მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 1. გაიცეს თანხმობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლისათვის“ სახელის გადარქმევისა და მისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 კლასიკური გიმნაზიის“ სახელის მინიჭების თაობაზე.“.

მუხლი 2. წინამდებარე განკარგულება გაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის“ სამეურვეო საბჭოს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა № 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

დავით ერემეიშვილი

განმარტებითი ბარათი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლისათვის“ სახელის გადარქმევისა და მისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 კლასიკური გიმნაზიის“ სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 მარტის №63 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ:

2026 წლის 25 მარტს საკრებულოს რიგით მე-6 სხდომაზე მიღებულ იქნა №63 განკარგულება „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლისათვის“ სახელის გადარქმევისა და მისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 კლასიკური გიმნაზიის“ სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“. 2026 წლის 15 ოქტომბერს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს წერილობით მომართა საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის“ დირექტორმა, ქალბატონმა სალომე სარალიძემ, რომელიც ითხოვს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზემოხსენებულ განკარგულებაში ცვლილების შეტანას.

ა) სამართლებრივი აქტის პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი:

სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის მიზეზი წარმოშვა საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის“ პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოების მოთხოვნამ საჯარო სამართლის იურიდიული პირს „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლას“ ეწოდოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 კლასიკური გიმნაზია“.

ბ) პროექტის ძირითადი არსი და მოსალოდნელი შედეგი:

პროექტთან დაკავშირებით შესაბამისი განკარგულება მიღებულ იქნება საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის“ პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოების რეკომენდაციების გათვალისწინებით. განკარგულების პროექტის მიღებით დაკმაყოფილდება მათი მოთხოვნა და სკოლის სახელი ჩამოყალიბდება სრულყოფილი სახით.

2. პროექტის ძალაში შესვლა:

განკარგულების პროექტი ძალაში შევა კანონით დადგენილი წესით.

3. პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ა) პროექტის გავლენა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე:

პროექტის დაფინანსების წყაროა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაღებული იქნება მხოლოდ პროექტის მიღებასა და გამოქვეყნებასთან

დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს.

ბ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება საკრებულოს სამართლებრივი აქტის მოქმედება:

იმ პირთა მიმართ, რომელთა მიმართაც ვრცელდება სამართლებრივი აქტის მოქმედება, ფინანსური შედეგები მოსალოდნელი არ არის.

4. ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე პროექტის ზეგავლენის შეფასება:

წინამდებარე პროექტთან დაკავშირებით სამართლებრივი აქტის მიღება ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას არ მოახდენს.

5. ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

წინამდებარე პროექტთან დაკავშირებით სამართლებრივი აქტის მიღება ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენას არ მოახდენს.

6. პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედ კომისიაში. კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად მომზადებულ იქნა წინამდებარე პროექტი.

7. პროექტის ავტორები და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი:

ა) პროექტის ავტორები არიან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ერემეიშვილი და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი კომისიის მდივანი, გენადი კუჭუხიძე.

ბ) საკრებულოს სხდომაზე განკარგულების პროექტს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი კომისიის მდივანი, გენადი კუჭუხიძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

დავით ერემეიშვილი